



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

1164-01-2-201903141231



N 01/1164

14/03/2019



ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 27/09
თარიღი: 20 03 2019 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ დავით ქუტიძეს
Nanovero71@gmail.com

ბატონო დავით,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2019 წლის 27 თებერვალს შემოსული თქვენი 2019 წლის 25 თებერვლის №46 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2017 წლის 13 დეკემბრის №1721-IX საქართველოს კანონით „გზების მშენებლობა და მოვლა შენახვის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, ბაღდათი-აბასთუმანის, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტა და ზემო იმერეთი (საჩხერე)-რაჭის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეადგენდა 70 000,0 ათას (სამოცდაათი მილიონი) ლარს, ხოლო 2018 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 20 239,5 ათასი (ოცი მილიონ ორას ოცდაცხრამეტი ათას ხუთასი ლარი) ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 9 თვის მიხედვით, ბაღდათი-აბასთუმანის, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტა და ზემო იმერეთი (საჩხერე)-რაჭის ს/გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8 489,9 ათასი (რვა მილიონ ოთხას ოთხმოცდაცხრა ათას ცხრასი) ლარი.

ამასთან, 2018 წლის ბაღდათი-აბასთუმანის, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტა და ზემო იმერეთი (საჩხერე)-რაჭის საავტომობილო გზების მონაკვეთების ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 20 159,4 ათასი (ოცი მილიონ ას ორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასი) ლარი.

ზემოაღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) მთის გზების განსავითარებლად ახორციელებს 4 (ოთხი) პროექტს. მოცემული საავტომობილო გზების, როგორც პროექტირების, ასევე, მშენებლობის სირთულიდან გამომდინარე პროექტები დაყოფილია ცალკეულ მონაკვეთებად, ლოტებად:

ზემო იმერეთი (საჩხერე)-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია:

- საჩხერე-ქვემო ხევი კმ0+000 - კმ5+537;
- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ5,534 - კმ10,537;
- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ10,537 - კმ20,537;

- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ20,534 – კმ30,537;
- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ30,534 – კმ41,94;
- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ41,94 – კმ49,64;
- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ49,64 – კმ50,04.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმანის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია:

- აბასთუმანი +3.2 კმ;
- წყალთაშუა-კაკასხიდი;
- კაკასხიდი-ზეკარი კმ1 - კმ10;
- კაკასხიდი-ზეკარი კმ10 - კმ17;
- კაკასხიდი-ზეკარი კმ17 - კმ33;
- ქუთაისი-ბაღდათი-საირმე-აბასთუმანი-ბენარა კმ75 - კმ 81;
- ქუთაისი-ბაღდათი-საირმე-აბასთუმანი-ბენარა კმ81 - კმ 87;
- გვირაბი (ზეკარის უღელტეხილზე) (კონცეპტუალური პროექტი).

თელავის, ახმეტის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნოჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია:

- კარკუჩა-ჯუთა;
- ჯუთა + 3.9 კმ;
- ჯუთა + 3.9 კმ - მიერთება 0.1;
- ღელისვაკე-როშკა;
- ბარისახო-შატილი (დაყოფილია 6 ლოტად);
- ახმეტა-დუისი;
- დუისი-ძიბახევი;
- ძიბახევი-ხადორის ხეობა;
- ხადორის ხეობა-შავწყალა;
- შავწყალა-შავწყალა;
- არჭილო-შატილი (დაყოფილია 2 ლოტად);
- პატარა ბორბალო - არჭილო (დაყოფილია 2 ლოტად);
- პატარა ბორბალო - ომალო (დაყოფილია 5 ლოტად).

ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა:

- ლენტეხი-გვირაბის სამხრეთ პორტალი;
- გვირაბი;
- გვირაბის ჩრდილოეთ პორტალი-ლემგუანი;
- ლემგუანი-მესტია.

მოცემულ პროექტებში ხელშეკრულების მიხედვით კონტრაქტორი ორგანიზაცია ვალდებული იყო საპროექტო დოკუმენტაცია ყველა პროექტთან მიმართებაში წარმოედგინა ეტაპობრივად, რათა წინასწარ მომხდარიყო იმ საფრთხეების პრევენცია, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პროექტების შემუშავებას. პროექტის წარმოდგენის ეტაპებია: საწყისი ანგარიში; შუალედური ანგარიში; საპროექტო ანგარიშის სამუშაო ვერსია; საბოლოო საპროექტო ანგარიში და საბოლოო განახლებული/კორექტირებული განსახლების სამოქმედო გეგმა. დეპარტამენტის მიერ ამ ეტაპზე სრულად მიღებულია ზემო იმერეთი (საჩხერე) – რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაცია, ნაწილობრივ დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები, ხოლო 2019 წლის მარტი-აპრილის თვეებში იგეგმება ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ10,537 – კმ20,537; ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ20,534 – კმ

30,537 და ქვემო ხვეიუზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ30,534 - კმ41,94 მონაკვეთების მშენებლობის შესყიდვის პროცედურების დაწყება.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (სალორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმანის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისას პროექტის სირთულიდან გამომდინარე მოხდა პროექტის ეტაპების ვადების ცვლილება არაერთგზის და შესაბამისად, საპროექტო ანგარიშის სამუშაო ვერსიის მიღების ვადა ნაცვლად 2017 წლის 16 ნოემბრისა, განისაზღვრა 2018 წლის 30 ოქტომბერი, საბოლოო საპროექტო ანგარიშის მიღების ვადა ნაცვლად 2018 წლის 16 იანვრისა განისაზღვრა 2018 წლის 30 დეკემბერი და საბოლოო საპროექტო ანგარიში და საბოლოო განახლებული/კორექტირებული განსახლების სამოქმედო გეგმის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2019 წლის 30 ივნისი. ამ ეტაპზე დეპარტამენტის მიერ მიღებულია პროექტის ყველა ლოტი, გარდა კაკასხიდი-ზეკარის 17-33 მონაკვეთის საბოლოო საპროექტო ანგარიშისა. ამ მონაკვეთზე იგეგმება გვირაბის მოწყობას, ასევე, მეტად რთული რელიეფის გამო, მოხდა პროექტის განხილვა სამუშაო შეხვედრების ფორმატში, შედეგად მიმდინარე წლის მარტი-აპრილის თვეებში მოხდება ზემოაღნიშნული ლოტის პროექტის და ასევე, კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 ლოტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვების პროცედურების დაწყება.

თელავის, ახმეტის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე გამავალი სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტას მიმართულებით საავტომობილო გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ პროექტს, რომელიც ხორციელდება მთის გზების პროექტირება-მშენებლობის ფარგლებში. მოცემული პროექტის სირთულიდან გამომდინარე რამდენჯერმე მოხდა პროექტის წარმოდგენის ვადების ცვლილება და საბოლოო ვადად განისაზღვრა: საპროექტო ანგარიშის სამუშაო ვერსია ნაცვლად 2017 წლის 9 დეკემბრისა 2018 წლის 25 ოქტომბერი; საბოლოო საპროექტო ანგარიშის წარდგენის ვადად ნაცვლად 2018 წლის 9 თებერვლისა განისაზღვრა 2018 წლის 25 დეკემბერი და საბოლოო საპროექტო ანგარიში და საბოლოო განახლებული/კორექტირებული განსახლების სამოქმედო გეგმის წარმოდგენის ვადა ნაცვლად 2018 წლის 9 აგვისტოსი განისაზღვრა 2019 წლის 25 ივნისი. პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე, სამუშაო შეხვედრების ფორმატში არაერთგზის მოხდა კონტრაქტორთან შეხვედრების გამართვა და პროექტის კორექტირება. მიუხედავად ამისა, კონტრაქტორმა ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინდა პროექტი იმ სახით, რაც უპასუხებდა ტექნიკური დავალების და ხელშეკრულების მოთხოვნებს. აღნიშნული ფაქტორის გამო, მოხდა კონტრაქტორი ორგანიზაციის მიმართ საჯარიმო სანქციების ამოქმედება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დამატებითი შეხვედრები და განიხილება პროექტის წარმოდგენის ვადების შეთანხმება. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ბარისახო-შატილის მიმართულებით კონტრაქტორის მიერ წარმოდგენილი ხუთივე ლოტი მიღებულ იქნა და განხორციელდა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა. ამ ეტაპზე მარტის თვეში იგეგმება 6 ლოტის (ხიდები) სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცედურები. ასევე, მიმდინარეობს კარკუჩა-ჯუთა და ჯუთა +3,9 კმ მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობს ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის განხილვა. აღნიშნული საავტომობილო გზა წარმოადგენს რთულ პროექტს, რომლის ფარგლებში ხდება საშუალოდ 27 კმ საავტომობილო გზის და 9 კმ საავტომობილო გვირაბის მშენებლობა. ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, არაერთგზის შეიცვალა პროექტის ეტაპების წარმოდგენის ვადები და შესაბამისად, შუალედური ანგარიშის წარმოდგენის ვადა

ნაცვლად 2017 წლის 9 აპრილისა განისაზღვრა 2017 წლის 26 ივნისი, საპროექტო ანგარიშის პროექტის წარმოდგენის ვადა ნაცვლად 2017 წლის 9 ოქტომბრისა განისაზღვრა 2019 წლის 31 იანვარი, საბოლოო საპროექტო ანგარიშის წარმოდგენის ვადა ნაცვლად 2017 წლის 9 დეკემბრისა განისაზღვრა 2019 წლის 28 თებერვალი და საბოლოო განახლებული/კორექტირებული განსახლების სამოქმედო გეგმის წარმოდგენის ვადა ნაცვლად 2018 წლის 9 ივნისისა განისაზღვრა 2019 წლის 28 აგვისტო. თუმცა კონტრაქტორმა ორგანიზაციამ კორექტირებულ ვადებში ვერ წარმოადგინა პროექტი მისაღები სახით, რის გამოც ამოქმედდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების პროცედურები. ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე დეპარტამენტი ჩართულია და პარალელურ რეჟიმში ახორციელებს მის განხილვას, შედეგად ამ ეტაპზე არსებული მოლოდინია, რომ კონტრაქტორი წარმოადგენს მისაღებ პროექტს, თუმცადა, დეპარტამენტთან ერთად სამუშაო შეხვედრების ფორმატში ზუსტდება პროექტის ტრასირება და ძირითადი გადაწყვეტები, რომელთა დასრულების შემდგომ განისაზღვრება პროექტის წარმოდგენის ვადა, რაც სავარაუდოდ განხორციელდება აპრილის თვეში.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეპარტამენტი მთის გზებთან დაკავშირებით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით სატენდერო პროცედურებს ახორციელებს ეტაპობრივად, საპროექტო ხელშეკრულების საფუძველზე კონტრაქტორის მიერ მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 2018 წლის 13 დეკემბრის №3948II საქართველოს კანონით „საავტომობილო გზების მშენებლობა და მოვლა შენახვის“ პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში, ბალდათი-აბასთუმანის, სნო-ჯუთა-როშკა-შატილი-ომალო-ხადორის ხეობა-ბაწარა-ახმეტა და ზემო იმერეთი (საჩხერე)-რაჭის საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მშენებლობისათვის გათვალისწინებული ასიგნებები შეადგენს 64 000,0 ათას (სამოცდაოთხი მილიონი) ლარს.

2019 წელს დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების დაწყება შემდეგ მონაკვეთებზე:

- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ10,537 - კმ20,537 (მშენებლობა) - ლოტი N3;
- ქვემო ხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალი კმ30,537 - კმ41,94 (მშენებლობა) - ლოტი N5;
- კაკასხიდი-ზეკარი კმ10 - კმ 17 კმ გზის რეკონსტრუქცია.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი

